ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3874027

ნომერი: AR1583259

თარიღი : 11.03.2018

გაცემის თარიღი : 19.03.2018

გაცნობის თარიღი : 19.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაგრატ პაკელიანი პ/ნ 62001024700
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია ქალაქი თბილისი, გამზირი ფარნავაზი, -ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის განხორციელების თაობაზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება მოსაპირკეთებელი ტერიტორიის ადგილის დაზუსტება (საკადასტრო საზღვრებშია მოქცეული თუ მის გარეთ (თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე) საჭიროა წარმოადგინოთ სიტუაციური სიტუაციურ გენ- გეგმა შესაბამისი საკადასტრო კოდების მითითებით.

"ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის ან/და მშენებლობის ნებართვის გარეშე შესაძლებელია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოება (მშენებლობისთვის განკუთვნილი დროებითი ღობის მოწყობა, შენობის ფასადის სამუშაოებისთვის დროებითი ხარაჩოს მოწყობა, გზისმოწყობა, ტროტუარის მოპირკეთება) ან/და სხვასახის თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური შესაბამის თანხმობას გასცემს მხოლოდ კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთის არეალში, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთის არეალში სამუშაოების განხორციელებისათვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო გეგმის მონაცემებით არსებული შენობა 02/2-ის წინმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება სერვიტუტი და სახელწიფოს კუთვნილი ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.01.755). საჭიროა წარმოადგინოთ სერვიტუტის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
ასევე, სახელმწიფოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. საჭიროა წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვთის თანამესაკუთრის შპს „ჯეოსპორტის“ თანხმობა არა დამკვეთად დაფიქსირებასთან, არამედ განსახორციელებელ პირველი კლასის სამუშაოებთან დაკავშირებით ან შპს „ჯეოსპორტის“ დირექტორი დარეგისტრირდეს თანაგანმხცადებლად.

ვინაიდან მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სახელმწიფოს საკუთრების კანალიზაციის მილი (ს.კ. N 01.01.755), წარმოსადგენია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორც წერილობითი სახით ასევე შესაბამისი წესით დამოწმებული გრაფიკული მასალა;

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.